

# შინაური საკმეხები

№ 39

ფასი ერთი შაური

წლიურა ფასა სამა მან.

წელიწადი მეოთხე.

სოფელ-კვირული გაზეთი

კვირა, 11 დეკემბერი 1911 წელი

სოფელ-კვირული გაზეთი

**შინაური საკმეხები**

ხელის მოწერა მი-  
იღება რედაქციაში,  
ქ. ქუთაისში (საბურ-  
თაძლე-კაზაკოვის შესახებ კმ 17). და თბილისში გამოცემულთან სომ-  
ხის ბაზარში, სომონანტის შუშის მდარიაში. გამოცემა ყოველ თვეში ოთხი  
ნომერი, ბბ. ხელის მოწერა ვთხოვეთ ფასი მთელი წლის  
ერთად გამოგზავნონ.

წლიური ფასი: ||| 2 მანეთი. ||| 2 მანეთი და 10 შაური.  
ნახ. წლი: ||| 2 მანეთი. ||| 2 მანეთი და 10 შაური.

ადრესი: ქუთაისი: „შინაური საკმეხების“ რედაქცია.

შინაურნი: 1) ცოტა რამ სამღვდლოების შეერთება და მათ შორის ურთიერთობა და კავშირის გაძლიერებაზედ—იათოხისა; 2) აწ განუტევე მეუფეო მონა შენი; 3) კვირიდამ კვირამდე; 4) მიხილ მათეს ძე სხირტლაძე; 5) მგზავრის შენიშვნები—ხომლელისა; 6) სა-შინელი დანაშაული (რუსულით)—მღ. ი. მარგინისა; 7) იფქლში ღვარძლს ნუ გავუტრევთ—ქაიხოსრო გელოვანისა 8) მადლობის გამოცხადებანი.

სხვა-და-სხვა მიჯნობის გამო შემდგომი ნომერი 24 დეკემბერამდე არ გამოვა.

ცოტა რამ სამღვდლოების შეერთება და მათ შორის ურთიერთობა და კავშირის გაძლიერებაზედ.

(დასასრული\*).

არც მარტო ზემო ჩამოთვლილ მიზეზებით შრება ის სიკეთის წყარო, რომელიც გამოძინარეობს, სამღვდლოების შეერთება-კავშირიდან. რამდენი მწუხარება და უბედურება უღრღნის გულს მღვდელს მის მსახურების ეკლიან გზაზედ. იგი ყველასაგან დევნილია, ყველა დასცინის, ყველა გულს უგმირავს სიტყვით თუ კალმით, ყველას თელში ეკლათ ეჩხირება, მის გარეგნობას და ტანისამოსს დასცინი-

\* იხ. «შინ. საქ.» № 86.





ან და სხვა ასეც უნდა იყოს, ვინაიდან თვით ქრისტიემ უბრძანა მოციქულებს, ამ პირველ სახარების მქადაგებელთ: „ამინ, ამინ გეტყვი თქვენ, სტიროდეთ და გოდებდეთ თქვენ, ხოლო სოფელსა უხაროდეს და თქვენ სწუხდეთ“. აღსრულდა ეს მოციქულებათა და სრულდება დღეს სამღვდელთაზედ; მერვ სად ნახოს ამის წამალი ჩვენა თანამამ? ვინ მისცემს მას ნუგეშს? ვინ აღადგინოს იგი დაცემის დროს? ვის ვადუშალოა თვისი გულის ქრილობანი სასაღბუნოდ და ვისთან წარმოსთხიოს თვისი ქირვარანი? რითი სძლიოს ბოროტი სულები ბრბოს?

პასუხი ერთი და იგივეა: თვის თანამომძესთან, თვის თანამომძემ.

გარდა ამისა ჩვენ ვიცით, რომ ოჯახში თითო შახინჯი არ დაიღვას. დიდ ოჯახში არის ოქროსი, ვერცხლის, სპილენძის, თიხისა და ხის ქორქელიც; აგრეთვე, არამც თუ მთელს ეპარქიაში, არამედ თითოეულ საბლადონანო ოლქშიდაც მოიპოვება თითო-ორილად არა წესიერი და წოდების შემარცხვენილი სასულიერო პირი. რამდენ ამგვარ პირებს ვაფასწორებდით ერთობა-კავშირის დროს, ვინაიდან ამგვარ პირებს, ამხანაგური მსჯავრის უფრო რცხვენიათ, ვინემ სამსჯავროში გადაწყვეტილ სასჯელისა.

დასასრულს, ჩვენი შეერთება და ერთმანეთ შორის მტკიცე ძმური კავშირი სხვაფერად მდლმანდი და სასჯელგებლო იქნებოდა, ვინაიდან იგი ვადიდებდა ჩვენს ავტორიტეტს, ვაორკეცებდა ჩვენს ძალას და აგვიმადლებდა ხალხის თვალში. ჩვენ მღვდლები, იქნებ ვერც კი ვგრძნობდეთ, თუ რა ზნეობრივ ძალას ვადიდებენ ჩვენი შეერთება და კავშირი საერო წოდების პირთა შორის, და რამდენ დამხმარეს, და თანამგზავრს მოგვიპოვებს იგი მათ შორის ჩვენი მსახურების აღსრულების დროს.

ხოა იკითხაეთ, თუ როგორ უნდა გამოვიწვიოთ და აღვადგინოთ, ჩვენ შორის, ეს დაკარგული თვისება?

ამ კითხვის პასუხი ცოტა დაფიქრების მოითხოვს და იმედით ჩვენზე ცხოვრებაში უფ-

რო ჩაკვირვებული და გამოცდილი თანამომძემნიც ამოიღებენ ხმას და დაგვეხმარებიან ამ საქმეში, ხოლო მე შეძლებისამებრ ვიტყვი, რომ, თუმცა ამ ჩვენ შორის გამქრალ არსებით სიკეთის გამოწვევისათვის დიდა ვნერგია და მედგარი შრომა და ხასიათის შემუშავება საჭირო, მაგრამ ნაკლებლოვანების გასწორებისათვის, ჩვენ არაფერი არ უნდა დავშუროთ, ვინაიდან თვით მწყემსთმთავარი იესო ქრისტე მოითხოვა ჩვენგან „სრულყოფას“ და ჩვენც შეუჩერებლივ მისკენ უნდა მივისწრაფოდეთ.

ბავშობიდანვე ამ თვისების აღზრდა აღამიანში ადვილია, რისთვისაც ძმობა-ერთობა და სიყვარულის ბაგშის გულში ჩანერგვას უნდა ცდილობდნენ ყველაზედ უპირველესად ის ოჯახები, რომელნიც გვაწვდიან სამღვდლო კანდიდატებს. შემდეგში ამასვე უნდა განაგრძობდეს ჩვენი სასწავლებლები. ამ სასწავლებელთა აღმზრდელნი, იმას კი არ უნდა სცდილობდნენ, რომ მოსწავლეებს, კურსის გათავების შემდეგ გაატანონ სახლში ერთმანეთის ფატოგრაფიული სურათები, არამედ იმას, რომ შეაყვარონ ერთი მეორეს, ასწავლონ და დაჩვიონ ერთმანეთის დამხმარებას და ერთი მეორის მდგომარეობაში შესვლას და გაატანონ სახლში ერთიმეორის სამარადისო კეთილი ხსოვნა და დახატონ მათ გულის ფიქარზედ ერთმანეთის დაუვიწყარი სახე. ამას აღწევდნენ ძველი დროის კერამისახურთა სასწავლებლები და ჩვენი დროის ქრისტიანულ და ისიც მართლმადიდებელ სამღვდლოებათა სასწავლებლებს, ხომ ზედმეტი მოეთხოვებათ. ეს საშუალება მომავლისათვის გამოგვადგება, ხოლო დღეს მყოფ მოსამსახურე სამღვდლოების შეერთება და მათ შორის ძმური ქრისტიანული საყვარულით გამსქვალული კავშირის დამყარება უნდა აკისროს დღევანდელმავე ეპარქიალურმა მთავრობამ და განსაკუთრებით ბლადონებმა; რადგანაც ამ ხაზზედ ზრუნვა მათ პირდაპირ მოვალეობას შეადგენს. რამდენი საკეთილო საქმის ვაკეთება შეუძლია, არა მარტო სახელისა, ჩინორდენებისა, გამოორჩენისა და მომეტებულ პენსიისათვის მოსამსახურე



კეთილმოწყესეს სხვას რომ ყველას თავი დავინებოთ, მარტო ხშირ საერთო კრებების და ძმურ დარიგებით და მოლაპარაკებით, რამდენათ შეუწყობდა ხელს ამ კეთილ საქმეს.

მართალია, მარტო კეთილმოწყესემაც რა ჰქნას, თუ ჩვენც არ მოვიდომებთ და არ მოვცხმარებთ, მაგრამ ამ საქმეში მეთაურობა პირველმა უნდა იკისროს. ჩვენ კი ამპარტავნობა და მედიდურობა უკუვადლოთ, გავისმქვალოთ იქ აზრით, რომ ჩვენ ვართ მუშაქნი ერთს ღვთის უნაწი, ასონი ვართ ერთი სხეულისა, რომლის თავი არის ქრისტე და „რათა არ იყოს წვალება ხორცთა მათ შინა, არამედ მასვე ერთი ერთისათვის ზრუნვიდნენ ასონი იგი და თუ ვენებინ რა ერთსა ასასა, მასთან ევნი უოველთა ასოთა და თუ იღიდებინ ერთი ასო, მასთანა იხარებდინ უოველნი ასონი“.

დასასრულ, გარდა ეპარქიალურ მთავრობის მხრით ამ საქმეზედ ზრუნვისა, სამღვდლოებას აქვს კიდევ საშუალება, რათაც მას შეუძლია გააღვიძოს ერთმანეთ შორის კავშირი, შეერთდენ და სულით და გულით დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მე ვგულისხმობ—საერთო ეპარქიალურ გამოცემას. აქ მღვდლებს შეძლება ეძლევათ გამოსთქვან თვისი საქიროება, სიხარული, მწუხარება და უკმაყოფილება, გამოსთქვან თვისი შეხედულება ამა თუ იმ საგანზედ, მოუსმინონ სხვას, მოილაპარაკონ საერთო საქმეზედ, დაარიგონ, ამხილონ, გაასწორონ, წინააღმდეგენ საწინააღმდეგოს, გამოარკვიონ სატყვეო კითხვები და სხვა. მართალია კალამი ყველას არ გემორჩილება, თან ამას შრომა უნდა და დრო, მაგრამ ყველაფერს შეჩვევა უნდა და თან ამგვარ შრომას მოითხოვს ჩვენგან ჩვენივე სამსახური და დღევანდელი მდგომარეობა. მხოლოდ აქ ერთი რამ არის საჭირო, რომ სიტყვისაებრ პეტრე მოციქულისა: „განვიშორით უკვე ყოველი უკეთურება, — ზავა, ორგულება და შური და ყოველივე ძვირის სიტყვა ვითარცა აწიანდელ შობილ-

თა ყრმათა სიტყვიერისა მის უზაკველისა რძისა გვსუროდენ, რათა მასშინა ავლოძინდეთ“.

იხილეთ.

აწ განვიტყვეოთ მათხურო მოსა შენი!

(ძველი შეგონების ბასია)

1908 წლის მწიფობისთვეა; მოხუცი, ასე 70 წლის მღვდელი, მ. ონოფრე ოდას აივანზე ზის და გაზეთს „შინაურ საქმეებს“ კითხულობს დიდი გულმოდგინებით; სახეზე კმაყოფილების ნიშანი ემჩნევა, ალბად იქ რაიმე სასიამოვნო ამოიკითხა. — ამომავალი მზე უხვად სცემდა თავის სხივებს და აივანი სულ მთლიად გაშუქებული იყო. მ. ონოფრეს მზისთვის ზურაგო შეტევა და ასე იყო გართული გაზეთის კითხვაში, რომ სრულიადაც ვერ შეამჩნია სტუმრის მისვლა, სანამ ეს უკანასკნელი არ მივიდა მასთან და არ მიესალმა: „დილაშვიდობისა მამაო ონოფრე! შენდობა შენი ჰირომე, მამაო!“ ამ ხმამ გამოარკვია იგი, აიხედა და დაინახა მის წინ მდგომარე საიშედო და ერთგული მეგობარი ზურაბი, რომელთანაც ერთად გაეთავებია ონოფრეს სასულ. სასწავლებელი და რომელიც მასწავლებლად იყო სოფ. ჩხ — ში მის იქ მღვდლად ყოფნის დროს. მ. ონოფრე ფეხზე წამოდგა სახე გაბრწყინებული საყვარელი ნაიშნანაგარის დანახვაზე და შესძახა: „ოჰ, ჩემ ძვირფასს ძმას და მეგობარს გაუმარჯულს ღმერთმა!“ „ოჰ, ოჰ, ჩემო ზურაბ, რა მადლობელი ვარ შენი, რომ არ დამივიწყე და კიდევ მინახულე მოხუცმა მოხუცი“ და ამ სიტყვებთან გაუწოდა ზურაბს ხელი და პირზედ ეამბორენ ერთმანეთს, ზურაბმა კი ხელზედაც აკოცა მ. ონოფრეს და მერე ორივენი დასხდნენ იქვე სკამებზედ.

მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ ზურაბმა ჰკითხა მ. ონოფრეს:



როგორ ბრძანდებით, მამაო ონოფრე, ხომ კარგათ, მხნედ იმყოფებით? რა ხანია ერთ-მანეთი არ გვიწახავს, ჩვენებურად, ძველებურად ავსა და კარგზე აღარ გვისაუბრნია. ახლა სალაპარაკო მასალა ხომ ბევრი გვაქვს: წარსულმა ოთხიოდე წლებმა ბევრი რამ გამოგვაცდევია და შეგვიძინა და აი გიახვლით, რათა გაუზიაროთ ჩვეულებრივად ერთმანეთს ფიქრებაზრები. აბა რას ბრძანებთ მამაო?

— მე, ჩემო მეგობარო, უნდა მოგახსენო, რომ ბევრი რამ მაქვს შენთან სათქმელი და სალაპარაკო, მაგრამ ახლა ამ გაზეთის შთაბეჭდილების გავლენის ქვეშ ვიმყოფები და ამიტომ აქედან უნდა დავიწყო ლაპარაკი შენს შეკითხვაზე. ზურაბ, თუ როგორ ვარ და რას ვფიქრობ, შე შემიძლია ამ სიტყვებით გავცე პასუხი: „აწ განმიტევე მეუფეო მონა შენი!“ შენ, ზურაბ, — საღმრთო წერილში განსწავლი ხარ და იცი აზრი „აწ განმიტევესი“ და სხ. როგორც სვიმეონ მოხუცს არ სჯეროდა ქალწულისაგან მაცხოვრის დაბადება, სანამ თავის თვალთ არ იხილა იგი, ისე მეც არ მჯეროდა, რასაც ახლა ვხედავ. ამ სამი-ოთხი წლის წინათ რომ ფეხქვეშ სთელავდენ ხალხის ყოველივე წმიდათა წმიდას, შეაგინეს სარწმუნოება, სჯული, ეკლესია, აბუჩად აიგდეს სამღვდლოება და ხმის ამომღები, პასუხის მიმცემი, ალაკმაღი უწმაწურად და უმგვანოთ მოლაპარაკე პირთა არაფერ სჩანდა, ვხედავდი გავერნებას ხალხისას, მესმოდა ისეთი სიტყვები, რომელნიც მახვილზე უარესად მისერავდენ გულსა, აქა-იქ გაზეთებსაც ვკითხულობდი, სადაც ღვთის გმობას, სარწმუნოების უარყოფას და სამღვდლოების მასხრად აგდებას პირველი ადგილი ეკავა და სული მიწუხდა, გული მეთანდებოდა, რომ ვერ ვხედავდი დამცველთ სარწმუნოების დიდ მნიშვნელობისას. ვფიქრობდი, სად არის ჩვენი განათლებული დიპლომიანი სამღვდლოება — სემენარიელ-აკადემიელნი, რომ ხმას არ იღებენ, რომ არ იჩინენ ნაყოფს თვისი სწავლისას და მხოლოდ იმიტი კმაყოფილდებიან, რომ თბილ-თბილი აღაგე-

ბი დაკავონ სამსახურში და ჩინები მიიღონ?

მართალია, ქრისტიანულ სარწმუნოებას თავიდანვე დაყვნენ მტრები, პირველ საუკუნეებშივე დაუწყეს რღვევა მისი დოღმატებს, მაგრამ ასეთებზე ძლიერი იერიში მაქონდათ სარწმუნოების დამცველთ — მღვდელთ და ერისკაცთ, ისინი დასაწყისშივე ახრობდენ, სათავეშივე სპობდენ ცრუ აზრებს სარწმუნოებასა და მის ღოგმებზე, სანამ ასეთი აზრები უმრავლესობის გულში ნიადაგს იპოვნოდა. ჩვენ დროში კი არაფერ არ სჩანდა ასეთი და ისე გათამამდენ ამითი, რომ ყველამ დავიწყო წერა და ლაპარაკი თამამად, არ არის ღმერთი, ქრისტე კაცი იყოვო და სხვა. ანუ გასინჯეთ ინჩი-ბანჩის გაუგებარმა „კუდას“ სიბიტიამაც კა სახალხოდ ასე ბრძანა: „რას გვატყუებთ მღვდლებო, ქრისტე ღმერთი კი არა, კაცი იყოვო, კამიტენტში ასე მითხრეს და მასწავლესო“. და აი ახლა, ამ გაზეთს რომ ვაკვირდები, მიხარის, რომ კარგ მიმართულებას ემსახურება, არღვევს-ამტყუნებს ღვთის უარისმყოფელთა აზრებს და მოყავს სხვა და სხვა საბუთები ღვთის არსებობისა და სარწმუნოების მნიშვნელობაზე უდიდეს მეცნიერთა ნაწარმოებთაგან. შენც გადაკითხული გექნება, ზურაბ, ამ გაზეთის ყველა ნომრები, მარა მაინც ვიტყვი: აი სანმანიანი როგორ ედავება გომართელს (ამ გომართლის ურწმუნოებაზე ქადაგებამ და წერამ გული მომიკლა სხვაზე უფრო მითომ, რომ ყველაფრით საყვარელი კაცია, ჩინებული აქიმიც არის, ჩემი ანდრო იმან მომიჩინა და მას შემდეგ ძლიერ შემეყვარდა ის, და მისდამი პატივისცემით ვიყავი გამსქვალული, მაგრამ ამ ერთ საგანში გვიღალატა: ღმერთი წავგართვა, ღვთისმშობელი და ქრისტე გაგვიღალატა და ამით ბევრის თვალში ღირსება დაეკარგა იმ გომართელს). აგერ სეფეველელი როგორ განმარტებს სარწმუნოების და მის უარყოფელთა საქმეს, ან კიდევ ბოსლეველი, ნაცარყანელი და უკიდურესი და სხვა და ეს სასიკეთო ნიშანია, ჩემო ზურაბ, ეს სამღვდლოების აღდგენას, გამოფხიზლებას ნიშნავს. ეს სტრიქონები



ბევრს შემოატრიალებს ისევ ჩვენსკენ და მიმ-  
ქრალ სარწმუნოებას გაუცხოველებს. სასიამოვნოა, სასიამონო, რომ ახლაც გამოჩნდნენ  
სარწმუნოების დამცველნი. მე, მხედველი ამი-  
სა, ისე გახარებული ვარ, ახლა სიკვდილს აღა-  
რაფრად ვაგდებ და მსგავსად სვიმეონ მოხუცე-  
ბულისა მზადა ვარ ვსთქვა: „აწ განმიტყვე მო-  
ნა შენი!“ ვმადლობ ჩემ გამჩენ იესო მაც-  
ხოვარს, რომ ისე არ გამიმეტა, რომ იმ ხუთი-  
ოდენ წლებში ნაგრძნობი ამბებით გამწარებუ-  
ლი გული არ გაემთვლებია ჩემთვის: ოხ, ოხ,  
ზურაბ, ზურაბ! თუ ძნელი და მძიმე საქმე არ  
იყოს სარწმუნოებაზე ვინმესა გულის გაგრი-  
ლება, ვინმესგან შეცდენა, რათ ბრძანებს აბა  
მაცხოვარი ჩვენი, რომ რომელმაც აცდუნოს  
ერთი მცირეთაგანიო, უმჯობესი არის მისთვის  
ჩამოიკიდოს კისერზე წისქვილის ქვა და ისე  
გადავარდეს ზღვაშიაო ჩვენ ყველანი, ჩემო  
ძმაო, ერთი მცირედთაგანი ვართ, არც ერთს  
ჩვენგანს იმდენად მტკიცე სარწმუნოება არა  
აქვს, რომ გაუძლოს განსაცდელს—არ ავ-  
ყვეთ სხვის ფეხის ხმას, მით უმეტეს მცირედ-  
თაგანთ ითვლება უსწავლელი ერი—უმრავ-  
ლესობა, რომლის ერთად-ერთი ყავარჯენი,  
ერთად-ერთი შემკავებელ-დამჭერელი ცხოვრე-  
ბაში არის სარწმუნოება, ღვთის ცნობა და  
მისი შიში და აღვილი წარმოსადგენია, თუ რა  
ფრად იმოქმედებდა მათ გულზე და ხასიათ-  
ზე უღვთოება და ურწმუნოებაზე ქადაგება.  
აი გადაიკითხე ამ გაზეთებში ტონკმელის ნა-  
წერები „რა დროში ვართ?“ იქიდგან მიხვდე-  
ბი, თუ ბევრგან სანამდის მიუყვანია ხალხი  
ახალშობის ქადაგებას.

რაც უნდა დიდი სიკეთე მოყოლოდა  
ხალხის შეთავრთა ლაპარაკ-ქადაგებას, ეს სი-  
კეთე არაფრად ჩაითვლება იმ უბედურებისთან  
რაც იგრძნო მაშინ ჩვენმა ხალხმა. ან რაღა  
თავი შეგაწყინო ამაზე ლაპარაკით, შენც და-  
აკვირდებოდი ზოგიერთ ჩვენ ახალ წინამძღვარ-  
მოქალაქეებელთა საქციელს და, ვმადლობ  
ღმერთს, რომ კიდევ მომხსწრო მე ეს დროსაც,  
როცა სამღვდლოება თავის შესაფერის აღ-

გილს იკავენს ისევ. ღმერთო, მაცხოვარო ჩვე-  
ნო, მოხედე მოწყალებით შენგან გაჩენილ კა-  
ცობრიობას, ნუ მოაკლებ მას ზეციურ საზრ-  
დოს—სარწმუნოებას!

— გაიძახოდენ, მღვდლები მატყუერები  
არიანო, მაგრამ რითი ვართ ასეთები,  
ჩვენ ხომ არ გამოგვიგონია სარწმუნო-  
ება და მისი დოგმატები, ასე გადმოგვცეს ჩვენ,  
ასე გვწამდა ღვთის მღვდელსაც და ერსაც  
და აწი თუ დაამტკიცებენ, რომ ღმერთზე ფიქ-  
რი, რწმენა, ქრისტე და მისი სწავლა სულ  
ტყუილი და უსარგებლოა, რომ ამდენხანს  
შემდგომი ყოფილა კაცობრიობა, თუ მას უმალ-  
ლესი არსება და შემდეგი ცხოვრება სწამდა,  
დაამტკიცონ რომ ადამიანს სარწმუნოების გა-  
რეშე ყოფნა უფრო აბედნიერებს და ჩვენ მა-  
შინ იძულებულნი ვიქნებით თავი მივანებოთ  
მღვდლობას. ჯერჯერობით ხალხი მღვდლის  
სამსახურს საჭიროებს, უმღვდლოთ ცხოვრება  
არა სურთ და რას გვერჩის ვინმე, რომ გვლან-  
ძღავს? იკითხა მ. ონოფრემ და მერე განაგრ-  
ძო: მართალია ჩვენ, მღვდლები ვერ ვასრუ-  
ლებთ, როგორც რიგი და წესია ჩვენ დიდ მო-  
ვალეობას, მაგრამ ეს გვიკვირნო ჩვენ, ამაზე  
მიგვითითონ, გამოგვადვიდონ, ჩავაყენონ შე-  
საფერ კალაპოტში და გვამოქმედონ სასარგე-  
ბლოდ საზოგადოებისა და მთლად მოსპობას,  
ზიზლით ყურებას ნუ გვიქადიან. ავამყოფს  
წამალი სკირდება და აქიმობა და არა სრუ-  
ლიად მოსპობა—გაქრობა!

(შემდეგი იქნება).

კვირიდამ-კვირამდე.

უწ. სინოდს გაუუქმებია საქართველოს  
საეკლესიო საზღვროების სამღვდლოების საარჩევნო წე-



სები, თანახმად საქართველოს ექსარხოზის ინო-  
ვენტის მოხსენებისა. ეს წესები 1905 წელს  
იყო შემოღებული.

9 დეკემბერს ტფილისში შესდგა საქარ-  
თველოს საექსარხოზოს სამღვდლოების კრე-  
ბა.

როგორც გავიგეთ, ალავერდის ეპისკო-  
პოსი დავითი გორის ეპისკოპოსად ინიშნა,  
ხოლო ალავერდის ეპისკოპოსად—საქართვე-  
ლოს საექსარხოზოს მონასტრების ბლადოჩინი  
არქიმანდრიტი ანტონი, უკანასკნელის ალა-  
გას ინიშნება ნათლის მცემლის მონასტრის  
წინამძღვარი არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა),  
რომელიც რუსეთიდან ამას წინაღ იქმნა გად-  
მოყვანილი.



მიხეილ მათეს ძე სხირტლაძე,

რომელმაც ათასი მანეთი შესწირა სოფ. ბრეველძის  
შკოლას.

იმერეთის სამღვდლოების სამარხი კასის  
წესდება თბილისის სემინარიის რექტორს ჰქო-  
ნია გადაცემული განსახილველ-შესამოწმებ-  
ლად, წესდება თავისთავად მოკლეა და მარ-  
ტივი და ამიტომაც საკვირველია, რატომ ვერ  
მოახერხა მ. რექტორმა აქამდე მისი გადათვა-  
ლიერება და მოხსენება?! სამარხი კასის დაარ-  
სება საქიროებამ გამოიწვია და საქიროებას  
მაღე მიშველება უნდა!

ჩვენ გავიგეთ, რომ მ. არქიმანდრიტ პი-  
როსს გლადკოვს მიერ დაწერილი სახარების  
განმარტება უთარგმნია ქართულად და მალე  
თურმე კიდევ დაამთავრებს და გამოსცემს. თუ  
ეს მართალია, დიდი მადლობის ღირსია ავტო-  
რს, რომ ასეთი განძი შემოაქვს ჩვენ ღარიბ  
საღვთისმეტყველო ლიტერატურაში. ურიგო  
არ იქნება სხვა აკადემიელი სასულიერო პი-  
რებიც ხელსაყობდნენ ასეთ სასარგებლო მუ-  
შაობას, თორემ სულ აღარ ჩანან ამ ბოლო  
ღროს.

ჩვენი ქვეყანა ძრიელ ღარიბია ქველმოქ-  
მედი პირებით, საზოგადო და საქვეყნო საქმეს  
არავინ დაგიდევს აგრე რიგათ და თუ სადმე  
გამოჩნდნენ ასეთები, მათი ქველმოქმედება მხო-  
ლოდ ქალაქებში ტრიალებს და სოფლებს  
სრულებით არ ეხება. თეატრები, სახალხო სახ-  
ლები, შკოლები, აი მათი ქველმოქმედების  
საგნები და მიზნები,—სოფელი და სოფლის  
ხალხი კი გამორიცხულია მათი საქველმოქმედო  
საგნების სიიდან, მაშინ როდესაც სწორეთ სო-  
ფლები და მათი დაწინაურება შესაფერ სწავ-  
ლა-განათლებით უნდა შეადგენდეს მათი ქველ-  
მოქმედების უქთაფრეს საგანს. სოფელი თუ  
დაეცა, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ქალა-  
ქც დაცემულია. სოფელი ქალაქის საუნჯეა  
და თუ მას ეს საუნჯე დაუცალიერდა, დაუ-  
კნინდა, დაუბეჩავდა, თითონაც დაკნინდება და  
დაბეჩავდება. ეს ქეშმარიტება ყველას კარგათ  
ესმის, მაგრამ, რაღაც უბედურებაა, არავინ



სოფლისკენ ხელს არ აშვებს, ყველა თავის უხვ კალთას ქალაქებში იბერტყავს.

მხოლოდ ილია წინამძღვრიშვილმა დაარღვია ეს ჩვენი ქველმოქმედების საზოგადოკანონი და თავის წვლილი მიაშვალა სოფელს, რასაც მას უეჭველად დაუფასებს ჩვენი ხალხის მომავალი სეუბელი.

დიდი მადლობის ღირსია ბ. მიხეილ მათეს ძეც, რომელმაც თავის არა მცირე პირველი ქველმოქმედება სოფელს არგო და ისიც ისეთ სოფელს, რომელიც რაჭის ერთი უკანასკნელი სოფელთაგანია და თავის მდებარეობით სრულებით მოწყვეტილია ყველა განათლების ცენტრებს, და რომელსაც ქვეყნის გაჩენილამ დღემდის არ ღირსებია არავითარი შკოლა. ბ. მიხეილ სხირტლადის წვლილი სწორეთ რომ მისწრება იყო ბრავალდის შკოლის შენობისათვის, რომელიც უსახსრობის გამო შეჩერებული იყო. დღეს ამ შკოლაში ოთხმოცამდე ბავში სწავლობს და ეს ბ. მიხეილის ქველმოქმედების ნაყოფია. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ბ. მიხეილ მათესძეს, რომელიც დღეს ხსენებულ შკოლის მზრუნველათ ირიცხება, სურს სამუდამოთ უზრუნველშკოს მოსწავლეები საქირო სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით. დიდ სასიამოვნოთ უნდა ჩაითვალოს ჩვენ აწინდელ ცხოვრებაში მომავლისათვის ასეთი სიკეთის და სინათლის მომასწავებელი მაგალითები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იმერეთის საეპარქიო საბჭო, რომლის განგებაშიაც არის ხსენებული ბრავალდის შკოლა, უყურადღებოთ არ დასტოვებს ბ. მიხეილის ქველმოქმედებას და შესაფერათ დააჯილდოებს მას.

## მეზაურის შენიშვნები.

(გაგრძელება \*).

დილის რვა საათზე მე ჩავჯექი რუსეთის სანაოსნო საზოგადოების ხალხის მატარებელ გემში „Цесаревичъ Георгій“, რომელიც ერთი საუკეთესო გემთაგანია და ქ. ფოთიდან ნოვოროსისკს გაესწიე. ფოთიდან ნოვოროსისკაში II კლასის ბილეთი ღირს 11 მან. და 50 კაპ. სადილით.

გაისმა გემის უკანასკნელი ბლავილი, იმ წამსვე მატროსებმა შექნეს ერთი უშველებელი ფაცა-ფუცი, ასწიეს ღუზა, თვალის დახამხამების უმაღლეს გემს მოაშორეს გრძელი კიბე, რომელზედაც ხალხი ნაპირიდან მილი-მოდლიოდა და... შეტოკდა გემიც. დინჯად, ამაყად შეინძრა და შესცურდა ზღვაში გემი, რომელიც თვისი წამწვეტებული ცხვირით დევივით აპობდა ცისფერად მოკამკამე ტალღებს. უტბად გავიარეთ ძველი ნავთ-სადგურის კედლის კარები, რომელსაც მოეფარა ფოთი და მისი არე-მარენი და ჩვენი თვალის წინ სულერთიანად გაიშალა უსაზღვრო ცისკიდურეთი. გემის გვერდებზე შეხეთქებულ ზვირთებს გაქონდა გუგუნა, ხმაურობა და მის განავლებ ზღვის ზედა პირს ქაფი ვეცხლის ფრად ერთს უშველებელს გრძელს ლენტად გაკვროდა.

დიდებულია ზღვა... აქ კაცი ივიწყებს შურს და ბოროტებას მოძმის შტრობას და სიძულვილს. ადამიანები ერთმანეთს გულდიად ეცნობებიან და გულწრფელად, პატიოსნად საუბრობენ. ადამიანის სინიღისი და გონება, მთელი არსება ამ დროს სრულიად იწმინდება, კაცი ზნეობრივად ფაქიზდება, ძალზედ დანაოქებული შუბლი ფართედ ეშლება და იწყებს ფიქრს.

ამაზე უაღრესი, უდიდესი მდგომარეობა კაცისათვის ხომ არ შეიძლება. ზღვაზე მოგზაურს ფიქრი გარდუქმნის არსებას, ამუშავებს

\*) იხ. „შინ. საქ.“ № 38.



ძლიერად ქუჟას და გსურს მთელი კაცობრიობის გაბედნიერებას შესწირო თავი. ზღვაზე აღამიანი ნამღვილ უახლოვდება ღმერთს...

შვენიერი დარი დაგვიდგა და პალუბას არ მოვშორებივარ. აგერ. მდიდრულად გამოწყობილი უცხო მანდილოსნები პაწია ცელქი და მოუსვენარი, სუფთად ჩაცმული შვილებით, კომერსანტები, აფიცრები, ინტელიგენტა მოგზაურნი აქვე იყო გამართული წიგნების გამყიდველის პატარა საწყობი და გაზეთები. ინტელიგენტები უფრო გაზეთებს ჩასჩერებოდნენ და კითხულობდნენ. ირგვლივ ზვირთების თამაში თვალს იტაცებდა. დილით ჩიი კარაქით დავლიეთ. მაგრამ შეუდღისას ქამის მადაზე მოვედი, საუზმისთვის 12 საათზე დაგვირეკეს. შვენიერი საუზმე გვაქამეს: თევზები, კალმახები, არაყი, სოუსები, მწვანილები და სალათა, რომელიც თავდებოდა ხილით და ყავით.

მგზავრები ისევ პალუბაზე ამოვლაგდით და სადილობამდი, ე. ი. ხუთ საათამდის წინა და უკან განუწყვეტლივ ზოგი დასეირნობდა, ზოგი კი იქვე დადგმულ სავარძლებზე სხდებოდნენ. ფოთიდან მოდიოდა ერთი ახალგაზდა ტენიკი, რომელიც მიემგზავრებოდა აღესაში და მერე იქიდან ნიკოლაევი ფოთის ახალი ნავთსადგურისთვის ფოლადის საყიდლად. მე და იგი ერთმანეთს დავუახლოვდით და გზაზე საუბრათ ვერთობოდით.

შუადღის გულზე მივედით ოჩემჩირეში, რომელიც პატარა დაბად მომჩვენა და საიდაუნაც მოჩანდა ერთი ეკლესია და რამდენიმე შნოიანი შენობაც. ზღვის ზედაპირზე მოსრი აღე ნავეებმა იქიდანაც შეგვმატეს კიდევ ახალი მგზავრები. მომსგელელთა შორის ჩემი ძანსაკუთარებელი ყურადღება მიიქცია ერთმა ახალგაზდა, ლამაზმა მოხელემ (პოლიანელმა) და დავუწყე ცქერა. როგორღაც მეც მივიქციე მისი ყურადღება და ერთმანეთი გავიცანით. საზოგადოთ, ზღვაზე მოგზაურნი ერთმანეთს ადვილად ეცნობებიან. ეს ახლად გაცნობილი პოლონელი ისტერი გამოდგა, რომელსაც ტყვარჩელის მიდამოები დაეთვალისწინებია

და განცვიფრებული იყო იქაური ქვანახშირის მადნების სიმდიდრით.

სპეციალისტების გამოკვლევით, ტყვარჩელის ქვანახშირის მადნები, მართლაც უმდიდრესი მადნებია მთელ დედა-მიწის ზურგზე და ამ მადნებმა აღძრეს და აშალეს ათასი ინტერესები რუსეთის კაპიტალისტთა და დიდდიდ არისტოკრატთა შორის. პირველად კი მადანი ქართველმა ჩვენებურმა ვასილ ძოწენიძემ (ვეტერბურგის ტენოლოგიურ ინსტიტუტში იყონასწავლი) აღმოაჩინა, რომელსაც შეამხანაგებული ყავდა კარტოზია, ინჯია და წინამძღვრი-შვილი. ამთ ჯერ-ჯერობით ვერაფერი ისარგებლეს., მაგრამ, თუ აქ მუშაობა გაჩაღდა, რადგან აქაურს ქვანახშირს დიდი და მდიდარი კოკსი ურევია, რომლის შეერთება შვექვასთან (მანგანეზი) ზავოდებში გადასადუღებელ ქურებზე (доменные печи) იძლევა წმინდა ფოლადს, ფერომანგანს, ჩვენი ქვეყანა დიდად წაიწვეს წინ ეკონომიურათ. ამ მადნებში მუშაობის გაჩაღება საქართველოში შექნის სრულიად ახალს ერას, რადგან ევროპულ ზავოდების გამართვას გამოიწვევს ჩვენში, ჩვენს ქვეყანაში, რომლის დედა-მიწის გულში უმდიდრესი კოკსი და მანგანეზი არის აღმოჩენილი. ეროვნულ სიმდიდრის, დიდი დოვლათის ახალი წყარო კიდევ გაუჩნდება ჩვენებურ მღშა ხალხს, რომელიც შიმშილით წელგაწყვეტილია დღეს...

ვემიდან პირდაპირ მოჩანს თავბრუდამხვევი, თვალის წარმტაცი, და საოცარი სურათი კაუკასიონის მთების ძირნი უარდაშლილ მინდორ-გელისა, რომელზედაც სენაღიდან ზორბიან მდ. ენგური, კოდორი და სხვა პატარა მდინარენი. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილი სულ ერთიანად შემოსილია შავად დაბურულ წიფლის, წაბლის, ბზის და კაკლის უზარ-მაზარის ხეებით, მდიდარი, უხვი მიწა წყლით, რომლის ნიადაგი წარმოადგენს უუნაყოფიერეს, უშვენიერეს არე-მარეს, პირდაპირ ედემს, სადაც ყვავის ყოველგვარი ძვირ



ფასი მცენარე სამხრეთის თვითი ქვეყნების. ამ ქვეყნიურ ედემს მალა ზევიდან მღვევით დაპყრებენ გრძლად გაწოლილი კავკასიონის მაღალი ქედები, რომელნიც თვისი მწვერვალე-ბით ზოგან ცას ებჯინებიან, ზოგან კა თავი დაუმდაბლებიათ, ძირს დაწეულან და ხმა გაკ-მენდილნი ამ უტურფესი ქვეყნის ცქერით ძლებიან.

სწორედ ეს გარემოება იყო დიდი მიზე-ზი, რომელიც მთელი ქვეყნის ხალხებს იზი-დავდა. მე შორს წამიყვანს აქ მარტო იმ უძვე-ლეს მწერალთა დასახელებაჲ კი, რომელნიც აღწერენ ურიცხვ ხალხთა შეხლა-შამოხლას, ბრძოლას ამ ედემის დასაპყრობათ. ტაციტის აზრით, იბერნი და ალბანელნი იტალიელთა ჩამომავალნი არიან, რომელნიც იაზონს მოკ-ყოლიან კოლხიდაში. დიონისის აზრით კი, იბერნი (ქართლები) პირენეის ნახევარ კუნ-ძულიდან არიან გამოსულნიო. ასეთი მოსაზრე-ბანი მრავალი შეიძლება წაიკითხოს მეცნიერ-მა დიოდორის, სტრაბონის, იუსტინის, იოსე-ბის, კედრანის, ზონარის და სხვების ნაწერებ-ში. გომონილი ეთნოგრაფი ვივიენდე-სერმან-ტენი თვის გამოკვლევებში მსწავლეულთა სა-ყოფრადღებოდ დაასკვნის, რომ მთელი კავკა-სიის ხალხები, მდ. არეზის ჩრდილოეთით მცხოვრებნი, პონტის და კასპიის ზღვას შუა ქართველ ტომის შტოებს ეკირათ და ამას იგი მეცნიერულად უმტკიცებს პარიზის დიდ მეც-ნიერებს 1846 წელს. საქართველოს შვილთა ცხოვრებას, თოგორმელებს, მესხებს და თუბა-ლებს იხსენიებს უშესანიშნავესი შვილი უძვე-ლესი ურიასტანისა, მოსე წინასწარმეტყველი\*) და ეზეკიელ წინასწარმეტყველი, რომელიც ქრ. დაბ. წინათ 600 წლ. ცხოვრობდა, თავის წიგნში ამბობს, რომ ქართველებს, მისგან მე-სახად და თუბალად წოდებულთ, გამართული ჰქონდათ ფინიკიელებთან ვაჭრობა და მონებს და სპილენძის ქურქლეულობას უგზავნიდენ მათ\*\*).

შემდეგი იქნება.

\*) დაბადება, მოსეს წიგნი პირველი, თავი X.  
\*\*) ეზეკიელი, თავი XXVII, მუხლი 13 და 14.

## საშინელი დანაშაული.

(რუსულით)

მხილოდ ერთად ერთი მსუბუქი კვამლი, ამომავალი სახლიდან, ნაცრის ფერსა სდებდა თოვლით დაფენილს ვაკე მინდორს. მძიმე ტვირთისაგან წელ-მოსრილი და ღარიბულად ჩაცმული მოხუცი მიდიოდა დიდი შარა გზით. შევიდა თუ არა მახლობელ სოფელში, ის გა-ჩერდა ერთი ქოხის წინ, რომელიც შუაგულ სოფელში იდგა. და ჯობის წვერით გაუბედა-ვად დააკაკუნა ფანჯარაზე. უცბათ გაიღო ფანჯრის პაწაწინა თვალი და იქიდან გლეხის მოხუცი ქალი მკვახე ხმით შეეკითხა:

— რა განდა?

— დედილო, მიუგო მგზავრმა, შორი გზა მაქვს, მაგრამ ეხლა კიდევ დამდებია, ამ-ბობენ, რომ აქ ბევრი მგელი იცისო.., და..

— შემოდი! მიუგო დედაბერმა მგზავრს. ბერიკაცი შევიდა ქოხში. ხატის წინ მბუტუა-ვი ბაზმაკი მთელ ოთახს მკრთალ სინათლესა ჭფენდა. მოხუცმა მუხლი მოიდრია ხატის წინ, პირჯვარი გამოისახა და წარმოსთქვა:

— ესთხოვ უფალ ღმერთს, დიასახლისო, ერთი ასად მოგაგოს სტუმართმოყვარეობის-თვის.

— დაჯექი, მიუგო დიასახლისმა, და გათ-ბი! შემდეგ დედაბერმა გაშალა სუფრა, შე-მოიტანა მეორე ოთახიდან ცოტა რამ სანო-ვაგე და მიიწვია ბერი-კაცი ვახშმათ—„რაც ღმერთს მოეცა“. ჰამის დროს სტუმარმა ჰკით-ხა სახლის პატრონს სახელი.

— მართა ფეოდლოროვნა პეტროვიჩაი. მიუგო დიასახლისმა. უცნობმა ვერ შესძლო აღლევების დაფარვა: მან ასწია მაღლა თვალე-ბი და შეაშტერდა დედაკაცს, რომელმაც გა-მასპინძლების ფაცი-ფუცში ვერაფერი შენი-შნა



— მე ქვრივი ვარ, ყოველ შემთხვევაში მე მაინც ასე მგონია. ჩემი ქმარი, ეს ოცდაათი წელიწადია, შორს ქვეყნებში წავიდა ბატონთან ერთად, რომელიც ჰპირდებოდა მას გამიღობას. მას შემდეგ აღარ დაბრუნებულა, ალბათ მოკვდა. დავრჩი მარტო-მარტო და ცდა არ დამიკლია, რომ როგორმე თავი მეჩინა. ესცხოვრობდი სიღარიბეში მარტოხელა და, როგორც ხედავ, ბედმა არ გამიღიმა!..

— შენ კი გიყვარდა შენი ქმარი, მარია ფეოდოროვნაე?

— ჩვენ სიყვარულით შევეუღლდით.

— ღმერთი დაგიბრუნებს მას ერთ მშვენიერ დღეს.

— გისმინოს უფალმან! შენ რაღა გქვიან? ბერი კაცი ერთხანს გაჩუმდა, მერმე ვაჟინა თავისი ქალარა თავი და სთქვა:—მე თვითონ არ ვიცი ჩემი სახელი... დამავიწყდა... რამდენი ხანია, რომ ის არავის წარმოუთქვამს? როგორც შენი, აგრეთვე ჩემი ხვედრიც ნადვლიანია... მე ბევრი მიჯაფნია, ბევრ მხარეს ვყოფილვარ ბედის საცდელად, მაგრამ ვერსად თავშესაფარიც ვერ ვპოვე, რომ თავი მიმედრიკა. დედაბერმა სიბრალული იგრძნო სტუმრისადმი.

— დაგიგებ აქვე ლოგინს, წაილაპარაკა მან, და შეგიძლია თავისუფლად იძინო წასვლამდე.

— გმადლობ, დედილო!..

ამის შემდეგ მან ამოიღო მოწიწებით ხალთიღგან პაკეტი, გადასცა დედაბერს და უთხრა:

— შეინახე ეს ხვალამდის, თუ ველარ გავიღვიძო, ეგ შენ გეკუთნოდეს. ესაა ყოველივე, რაც რომ მე მბაღია და არც ინანებ ჩემს ასე კეთილად მოპყრობასა...

დაწოლისას დედაბერმა ის ძვირფასი ნივთი ხალიშ ქვეშ შეინახა, მაგრამ ძალი არ ეკარებოდა: სურდა გაეგო მიბარებული ნივთის ვითარება. —რა უნდა იყოს მასში? რა საკუთ-

რების პატრონი იყო ეს ღარიბი მგზავრი, რა განძი-მიაბარა მას? ის უთავ-ბოლოდ ატრიალებდა საიდუმლო პაკეტს, სინჯავდა, არყევდა, მაგრამ ვერაფერი გაიგო... შეიძლება უცნობმა დასცინა მას?, ბოლოს ველარ მოითმინა, ფრთხილად გახსნა ბაწრის ნასკვები და მერმე თვით პაკეტიც... უეცრად გაკვირვებით წამოიყვირა; მას ხელიდან გაუვარდა ბანკის ბილეთების კონა; მათი რიცხვი სამასს აღემატებოდა. დედაბერმა რამდენჯერმე გადაარჩია ბილეთები აკანკალებული ხელით და კიდევ დასთვალა. უცნობი მდიდარი აღმოჩნდა.

ამის შემდეგ ის ფიქრებად გადაიქცა: როგორი იქნება მისი ცხოვრება—ეს ფულები რომ ყველა მას ეკუთნოდეს... მან წარმოიდგინა თავისი თავი ქალაქურად მორთულ პატარა სახლში, ისე როგორც ეს მას ენახა ქალაქში ბატონებისას ბოსტანში მომუშავეთ ყოფნის დროს. ის ფიქრობდა—თუ როგორ იქირავებდა მოსამსახურე ქალს, რომელიც მის მხედველობის ქვეშ იმუშაებდა... და სხვა... მოეპარა?—ეხლა ამ აზრმა გაიტაცა ის... რა კარგი იქნება, რომ შეიძლებდეს იგი ასე გაუფრთხილებლად მობარებული ქონების დაპატრონებას... მაგრამ როგორ? ის ხომ ასე ადვილად არ გააცარცვიანებს ვისმეს თავსა! ის ხომ მაშინვე უჩივოებდა მოწესესთან, რომელიც სახლს დასინჯავდა და ბილეთებს ნახავდა... მერმე საპყრობილე... კატორღა... ცუდი საშვალეა!..

— ანა და ეგებ როგორმე მოეხერხებია მგზავრის მასთან დარჩენა? რა იქნებოდა, რომ წინადადება მიეცა მგზავრისათვის დარჩენილიყო მასთან?! თითქო არც იცის მან მისი სიმდიდრის ამბავი?... მაგრამ დახე!... ეს საკვირველი კაცი, რომელიც დაფლეთილ ტანისამოსში თავის ხალთიანად დახეტიალობდა გზა და გზა, თავის დღეში არ დასთანხმდება სადმე დაბნაეებას; გარდა ამისა, ის ხომ ქმრიანია? ქმრის სიკვდილი ხომ მისი წინასწარი უბრალო განზრახვა იყო, რომელიც არაფრით არა მტკიცდებოდა.—რომ აღარ გაიღვიძოს?... დედა-



ბერს გაახსენდა სტუმრის სიტყვები:—„თუ ვე-  
ლარ გავიდვიძო, ჰაკეთი შენ გეკუთვნოდესო“...  
მან მანქანებრივ შეაშტერა თვალები იქვე ახ-  
ლო კედელზე დაკიდებულ ცულოს, რომე-  
ლიც უოუელთვის მზათა ჰქონდა მას თავდასხ-  
მის დროსთვის. არავის არ დაუნახავს ამ კაცის  
აქ შემოსვლა.. ორმოს გათხრას დიდი დრო  
არ უნდა... ცოტადენი თოვლიც მალლა გა-  
დაეფარება და შეუმჩნეველი საულაფი იქ-  
ნება..

სტოლზე მდებარე ბილეთების შეხედვა  
მას ამხნევებდა... ერთ ხელში აიღო ცული,  
მეორეში სასანთლე და წუნარად ჩავიდა ძირს..  
უცნობს მშვილობიანად ეძინა და მხოლოდ მი-  
სი სწორი სუნთქვა არღვევდა ღამის სიწყნა-  
რეს... დედაბერი მივიდა ხატის წინ ანთებულ  
ბაზმაკთან და გააქრო. მერმე მიბრუნდა ლო-  
გინისაკენ, დასდგა სასანთლე, ასწია ცული და  
ერთი მძლავრი შემოკვრით უცნობს თავი გა-  
უპო.. ცულის სიმძიმემ წააქცია სკამი, რო-  
მელზედაც უცნობის ტანისამოსი ელაგა და  
ჯიბიდან რაღაც ქაღალდები გამოსცვინდა..  
ეს ქაღალდები აჭკრიბა და სათითაულად და-  
უწყო კითხვა. უეცრად წაშლიკივლა დედაბერ-  
მა, მერმე წაბარბაცდა და იატაკზე დაე-  
ცა..

— დედაბერისაგან მოკლული კაცი აღ-  
მოჩნდა მისი ქმარი.

ბჭ. მდ. ი. შარკიანი.

**იშპლუი ღვარკლს ნუ გავსურავთ!**

„პირფერობა უკან ძრახვა—  
არა თქმულა საფარსაგო,  
სჯობ ტყუილით ქვეყოდნასა,  
ზე სიმართლით ავებარგო;

ვაზის მრგველთან ის არ ვაქო,  
ვინც მის ნაცვლად ძემეი დარგო,  
მაზედ სული არ წავსწყვიდო,—  
რაგინდ ზორკით დავიკარგო.

მე გონია ვერც ერთი დაწინაურებული  
ერი ვერ გვეტყვის იმას და, რომ კიდევ გვი-  
ხრას, ვერ დაასაბუთებს, ვერ დაამტკიცებს,  
რომ ქართველი ხალხი ისტორიული და კულ-  
ტურული ერი არ იყო. ვერ გვეტყვის, ვერ  
დაამტკიცებს, იმიტომ რომ ქართველმა ერმა  
თავის თავად შექმნა თავისი საკუთარი მწერ-  
ლობა, თავის აზრისა და იდეალის ტკბილი  
მომხიბლავი ჰარმონიული ჰანგებით გამოძა-  
ტველი, გამოძქმელი პოეზია და პროზა, თა-  
ვისი საკუთარი საერო კულტურა. რიცხვით  
მკირემ შედარებით მას გარშემორტყმულ დიდ  
ერებზე და ტერიტორიით ვიწრო სფეროში  
მოთავსებულმა ქართველმა ერმა, ბევრი საუკუ-  
ნის განმავლობაში რაინდულად დაიცვა თავი-  
სი ორიგინალური ეროვნული სიციცხლე, თა-  
ვისი სათაყვანო სჯული, თავისი საკუთარი მი-  
წა-წყალი, ტერიტორია, და ყოველივე ის  
მთავარი ნაციონალური ელემენტები, რაც აღა-  
მიანთა კრებულს ანიჭებს ფაქტიურად განსხვა-  
ვებულს ორიგინალურ თვითარსებობის ელ-  
ფერს კაცობრიობის ცხოვრების კონცერტში.  
ქართველმა ერმა მეოთხე საუკუნის პირველ  
ნახევარშივე მისცა კაცობრიობას მტკიცე სა-  
ბუთი თავის აზროვნებით ფართოდ გათვით-  
ცნობიერებისა, აზრითა და გონიერებით მა-  
ლალ საფეხურზე აღსვლისა სხვათა შორის მით,  
რომ შეიგნო სიმაღლე, სიღიაღე, სიწმიდე  
ქრისტეს დიდებული ზეციური იდეალის გამოძ-  
ხატველი მოძღვრებისა, შეითვისა, შეისისხლ-  
ხორცა ეს ზეციური სამღვთო კულტი და მით  
მოჭვინა თავის სულიერ და ეროვნულ ცხოვ-



რებასა და არსებობას მადლი და კურთხევა ღვისა.

შედარებით ჩვენთა წინაპართა წინა საუკუნოების ქართველებზე დღევანდელი ქართველობა, რაღა ჩვენმიერ თქმა უნდა, ამ მხრით და ბევრს სხვაშიაც განსხვავებულს სურათს წარმოგვიდგენს,—მაგრამ თუ ქკუა-გონიერებას მეტ ბარგათ არ ჩავთვლით და არ განვდევნით, ჩვენი საერო ოჯახივად, იმ შემთხვევაში ეს განსხვავება იმედის მიხედვლ მოვლენად არ ჩაითვლება. არც ერთ ისტორიულ ერს არ გაუვლია თავის ისტორიული ცხოვრების ხანგრძლივი ხანა ერთი და იმავე ცხოვრების სახით, ერთ და იმავე მდგომარეობის გეგმით, პირიქით ბევრ ისტორიულ დიდ ერებს ვხედავთ ჩვენ, მხოლოდ ისტორიის კაბადონებზე. ხოლო ქართველი ჰატარა,—ქრისტიანი ერო კი, მიუხედევლად იმისა, რომ მან განვლო თავის გრძელ ისტორიულ ცხოვრების პერიოდში მრავალი საშინელი „კატასტროფა“, თავზარ დამკემი და გამანადგურებელი უბედურება, გარეშემორტყმულ მოზღვაებულ ბარბაროს მტრებთაგან, ღღესაც კიდევ ცოცხალია!... ასე—თუ ისე დღევანდელს შავბედითს პერიოდშიაც თავის ეროვნული ელფერით სდგას უმეტესი ნაწილი ამ ხალხისა თავის ნაციონალურ ნიადაგზე, თავის ენით ლაპარაკობს, თავის საკუთარი ქკუა-გონებით აზროვნობს, თავის მაცხოვარს ლოცულობს, თავის ეროვნული სახე, ზნე და თვისება აქვს შენარჩუნებული, თავის დედა ქვეყნის ტიპური მოქალაქეა. მართალია დიდი ხანია, რაც ქართველი ნაცია, რეგრესიულ მდგომარეობას განიცდის მით, რომ მას აღარ უშობია, აღარ ჰყავს ისეთი საერო ავტორიტეტები, მეთაურები ერისა, როგორც იყვნენ მაგ. დავით აღმაშენებელი, თამარ ბრწყინვალე ცისკარი; რომელსაც ასე ამკობს მისი თანამედროვე ღრმა აზროვნის შავთელი:

„თვალი ხარ ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა, მშენებთა პური, უსახლთ სართული,

მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა, შიშველთ სამოსლად მინიჭებული, მოხუცებულთა შრომით რებულთა სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი, მოგვფენ სიბრძნესა წერილთ სიღრმესა, თვით განგვიმარტავ მადლთა მთხრობელი“.

ქეთევინ, დავით და კონსტანტინე, წმიდა მოწამის შარავანდელით მოსილნი. საისტორიო გმირნი ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი. ამ მხრით, მართალია, ცოტა ხანი არ გადის, რაც მისდა უნებლიეთ იბერწა ქართველმა ნაციამ, მაგრამ სამაგიეროთ მაღალ ნიჭიერ მგოსნების შობის შესახებ კი, ჩვენდა სანუგეშოთ არც ერთ საუკუნეში არ უბერწნია ჩვენ ერს. თუ დავით აღმაშენებელი, თამარ მნათობი, ქეთევან, დავით და კონსტანტინე წმინდანი, ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, დაიხოცენ და მათი მაგიერი ჯერჯერობით ვერ წარმოშობა ქართველმა ერმა, სამაგიეროთ რუსთაველი, შავთელი, სარგის თმოგველი, ჩახრუხაძე, ხონელი და სხვანი, დიდებულნი მამანი ქართული მაღალ პოეზიური აზროვნებისა და შემოქმედებისა, არ მომკვდარან, არ გადაშენებულან. ყოველ საუკუნეში, თუ გონების თვალი გვიჭრის, დავინახავთ, რომ ქართველი ერი იძლევა ამ დიდებულ მოაზრე მგოსნების ღირსეულ მემკვიდრეებს, რაღა თქმა უნდა, რიცხვით კი მცირეს. მაღალ აზრის, გენიალური ნიჭის, ფართო გონიერების და დიადი ქკუის თავის ნაწარმოებში გამომატველი პიროვნება ცოცხალი, უკვდავი საბუთია იმ ერის სულიერი სიმამლისა, დიდებული კულტურისა და უკვდავებისა, რომელსაც ეკუთვნის ასეთი პიროვნება, ასეთი მწერალი. ამის დასამტკიცებელი საბუთი, მგონია, არც ერთმა შეგნებულმა მკითხველმა არ მოგვთხოვოს, და თუ ვინმე ინებებს, მზადა ვართ წარუდგინოთ მას მეთორმეტე საუკუნის დიდებულნი ჩვენი მწერალი რუსთაველი თავის ვეფხის ტყაოსნით, რომლის ბრძნულმა და გენიალურმა გონების ნაწარმოებმა უკვდავყო სამარადისოდ მსოფლიო ლიტერატურაში და ის-



ტორიაში ქართველი ერა, მისი ენა, პოეზია, აზროვნება და მწერლობა. როდესაც იესო ქრისტე, შევიდა იერუსალიმის ქალაქში, სვიმონ პეტრემ მიუთითა ძვირფასი ქვებით მდიდრულად ნაშენ სრა-სასახლეებზე, და მოახსენა: „მოძღვარო, იხილე, რაბამი ქვები არს და რაბამი შენებულება“ ო. „არა დაშთეს ქვა ქვასა ზედა, რომელი არა დაირღვეს“, უპასუხა მაცხოვარმა. დიახ, ამ ქვეყნად თავის ხორციელ ცხოვრებასა და შემოქმედობაში, არაფერი არ შეუძლია ადამიანს ანუ ადამიანთა კრებულს გააკეთოს, ააშენოს რამ ისეთი ნივთიერი შენობა, ციხე-სამაგრეები, თუ სრა სასახლეები, რომელიც უკვდავების შარავანდედით იყოს დაგვირგვინებული, არ დაირღვეს არ დაიშალოს, არ აღიგავოს დედამიწის პირიდან. დიახ, სად არის ეხლა ის დიდებული და მშვენიერი სრა-სასახლე და ბაღჩა, რომელსაც ასე აგვიწერს უკვდავი მგოსანი რუსთაველი?:

„ბაღჩა ვნახე უტურფესი  
ყოველისავე სალხინოსა,  
ფრინველთაგან ხმა ისმოდა  
უამესი სირინოსსა,  
მრავლად იყო სარაჯები  
ვარდის წყლისა აბანოსა,  
კარსა ზედა მოფარვიდენ  
ფარდაგები ოქსინოსა“.

ერთი მხოლოდ უკვდავი ნაწარმოები ადამიანთა შემოქმედობისა არის მისი ზეგარდმო მადლით მონათლული გენიალური ნიქისა და აზროვნების გამომხატველი, მწერლობა ლიტერატურა. მაშასადამე თითოეული ჩვენი თანამედროვე ახალი მიმართულების მწერლები, რომლებიც ჩვენდა საბედნიეროდ (თუ საუბეროთ, ამის შესახებ ამ ხანად ვერას მოგახსენებთ) მეტად გაგვიმრავლდნენ და ბლომად შეაქვესთ თავიანთ გონების ნაწარმოები ქართულ ლიტერატურის საღაროში, ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ შესახებ მისა, რომ იქვე ღვარძლი არ გაურიონ, ქართულ პარსის წალკოტში ვარდის მაგიერ ნარი არ დარ-

გონ. მეოცე საუკუნემ ხომ,—ვინც მარტო ფიზიკურის თვლით იხედება მათის აზრით,—ისე დაგვაჯილდოვა მწერლების მხრით ქართველი ნაცია, რომ ჩვენ ბედს, ჩვენ პროგრესს ამ მხრით მტერი ვერ დაჰყევს. ვერც ერთი ევროპის განათლებული ნაცია კონკურენტის ვერ გაგვიწევს. მართლაც, ვის დაასახელებთ ჩვენში ისეთ პირს, რომელიც ქართულ სალიტერატურო ასპარეზზე პოეტის, ბელეტრიკის, დრამატურგის, რომანისტის, კომიკის და კრიტიკოსის ტიტულით არ იყოს გამოსული?... მეთორმეტე საუკუნეში ამ ოქროს დროში, თუ თითო ჰყავდა ქართველ ერს რუსთაველი, შავთელი, საგის თმოგველი და სხვა კლასიკები, დღეს მეოცე საუკუნეში, ამ თიბრის დროში, ათასობით გვყავს... მაგრამ ვისაც გონების თვლით მხედველობის უნარი აქვს, ჩვენდა სავალალოდ, ამ მოვლენაში საიმედო პროგრესს ვერა ხედავს,—ვერა ხედავს, იმიტომ რომ ამ ახალმოდის, ანუ უკეთეს ვსთქვათ, სურვილით გაპოეტებულ მწერლების ნაწარმოებში, იფქლის მაგიერ ღვარძლსა ხედავს, მარგალიტის მაგიერ თაღლითს, რომლებიც პროგრესის მაგიერ, რეგრესის გზაზე აყენებენ ქართულ პოეზიურ აზრისა და ნიქის გამომხატველ მწერლობას. ჩვენ უკვე ვსთქვით და, გვგონია, მართალიც,—რომ ნიქიერი მწერლების შესახებ არც ერთ საუკუნეში არ უბერწნია ჩვენ ერს. დიახ დღესაც გვყავან მაღალ-ნიქიერი მწერლები, რომლების ზნეობრივი და მამულიშვილური მოვალეობაა მშობლურ ლიტერატურას, ამ ერის უკვდავების საუნჯეს, სათავეში ედგნენ და სდარაჯობდნენ, რომ იფქლის მაგიერ ღვარძლი არაფინ შეიტანოს, მარგალიტის მაგიერ თაღლით და ამით ჩირქი არ მოსცხოს ქართულ პოეზიას, აზროვნებას, ნიქს და მწერლობას. მაგრამ ჩვენდა განსაცვიფრებლად ასეთი ტალანტოსნები, სდუმან, ხმას არ იღებენ,—რაც მათი მხრით, ჩემი აზრით მშობლურ ლიტერატურის წინაშე დიდ შეცოდებათ ჩაითვლება...

ქაიხოსრო გვლოყანი.







გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი .

# სტამბა „ურუმა“

— ღაბა შვირილაში —

შვირილის რეინის გზის ხიდის პირდაპირ

ღებულობს ეოველეკვარ სასტამბო საქმ.

გებულები: ბლანკებს, აფიშებს, განცხადებებს, წიგნებს, ბროშურებს და ეოველეკვარ მისაწვევ წერილებს: ქორწინებისას, ნათვლისას, სამკლავიარისას და სხვ. აგრეთვე კონტა-

რებისათვის სასანგარიშო წიგნებს და წიგნაკებს, კვანძებს, იარაღებს, სადარბაზო ბარათებს (გაზ. კარტ.) და სხვ.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული ყველა სასწავლებელ სათვის კლასის ჟურნალები და ბილეთები.

საქმეებს ვასრულებთ სუფთად და თავის დროზე ძალიერ დაკლებულ ფასებში.

რაშიდაც შეუძლიანთ დარწმუნდნ თვით პატრენემულნი ზაკანჩიკები.

ადრესი: ევირიდა სტამბა „ურუმა“.

Адресъ: Типогр. „Трудъ“ Квирылы

**სამხატვრო სახელოსნო**

**ა. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.**

ღებულობს ეოველეკვარ სამხატვრო-საეკლესიო სამუშევრს. ასრულებს დროზე, სუფთათ, სიძველეთ და სინდიანთ.

ფასები ნახატების ღირსებაზე და ზომასზე დამოკიდებული და ეოველ შემთხვევაში საშუალოა.

სამხატვროს არავისთან დამოკიდებულება და კავშირი არ აქვს და ამიტომ ყველას სთხოვს პირადათ მისთან მოიქცენ და არ დაუჯერონ ზოგიერთ ჩარჩ მხატვრებს და მოიჯარადრებს რომლებიც წვენი ფირმის სახელით სარგებლობენ საქმის აღების დროს სოფლებში. სამუშევრს პირობით ვდებულობთ, თუ მოწონებულად არ იქნება სასულიერო მთავრობისაგან უკანვე ვიბრუნებთ და სხვის ვასრულებთ იმავე მთავრობის შენიშვნისამებრ.

წვენი ფირმა სარგებლობს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის კეთილად სამღვდელო **ლაონიდას** ნდობით და გვაქვს მათი ძეუფებისაგან შესიფერი მოწმობა.

ადრესი: „შინაური საქმიანობის“ დეპტის, კახაკოვის ქუჩა № 17.



## ბ ა ნ ც ხ ა ლ მ ე ბ ა .

თბილისის და ქუთაისის წიგნის მაღაზიებში და მოწამეთის მონასტერში იუიღება არსიანდრიტის ნესტორის მიერ შედგენილ - კამოცეპული წიგნები სასულიერო შინაარსისა:

- 1) კაიაფას ვაჟი შვილი — 50 კ.
- 2) მესამე ოქრო — — — 5 კ.
- 3) გზა ცხოვრებისა — — 30 კ.
- 4) ძველ აღთქმის საღვთო ისტორია 50 კ.
- 5) ახალი აღთქმის საღვთო ისტორია 40 კ.
- 6) სიკვდილი მართლისა — — 10 კ.
- 7) ერთი ღამე აკალდამაში — 5 კ.
- 8) არა კაც კლა — — — 5 კ.
- 9) კარგი ყველგან კარგია — 10 კ.
- 10) ქრისტიანობა და დემოკრატია, ქრისტიანობა და სოციალიზმი 15 კ.
- 11) ცოლ-ქმრობა (საღვთო წერილიდან — — — — 5 კ.
- 12) მამა დავით გარეჯელის ცხოვრება და მოღვაწეობა — — 10 კ.

სამკითხველოებს და სასოფლო შკოლებს, როგორც სამრევლოს ისე საეროს, ნაღდ ფულზე ვინც გამოიწერს, ეველა წიგნებს დაუთმობ ნახევარ ფასად. სოლო წიგნის მაღაზიებს, რომელიც ნაღდ ფულზე გამოიწერენ, დაუთმობ 30% ადრესი: **Черезъ Кутаисъ въ Мопамети. Архимандриту Нестору.** ვინც ისურვებს ჩემგან ზირდაპირ გამოიწერას, ვსთხოვ ადრესი გარკვევით მომწეროს.

### „შინაური საქმიანობა“-ს რედაქციაში იუიღება:

კლიროვის უწევებები ახალი ფორმისა და ეველა უწევებები (**ВЪДОМОСТИ**) წლიური საბლადონინო ანგარიშებისათვის. ბლანკები „მშობის“ გამოცემა და ფულიც მას ვკუთვნის. ფასი ბლანკებისა — რწევილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს — 4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: **Кутаисъ, Правленіе религіозно Просвѣтительнаго „братства“.**

Ольденбургская д. № 5.

სტამბა „შრომა“ დას ევირდაში. ● Типографія „Трудъ“ въ м. Квирилы.